

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი № 4

ქ. თბილისი

8.05.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

აპოლონ სილაგაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე);

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლინგვისტიკურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი (სააპელაციო საბჭოს მდივანი);

მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა გოცირიძე - სსიპ - უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ნუზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ქვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-  
ექსპერტები):

მაკა ტუკვაძე;  
ავთანდილ აბდუშელიშვილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი:  
რევაზ აფხაზავა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმი:  
ცისიერ დიღმელაშვილი - დირექტორი;  
ნინო ნადირაძე- დირექტორის მოადგილე.
2. შპს გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმი:  
ანზორ შაფათავა- დირექტორი;  
ინეზა იამანიძე - დამფუძნებელი.


საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:05 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და  
დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1  
ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 26<sup>5</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის  
შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი  
შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26<sup>7</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის  
მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს  
ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის სააპელაციო  
საჩივრის განხილვა;
2. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის სააპელაციო  
საჩივრის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს  
მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.  
შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად  
დაამტკიცეს სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.



**1. შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ სიტყვა გადასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრს, რევაზ აფხაზავას, რათა მას დაეზუსტებინა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი კერძოდ, რას ეყრდნობოდა საბჭოს პოზიცია.

რევაზ აფხაზავას განცხადებით გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ჯგუფის წევრების განცხადება იმის თაობაზე, რომ დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის ექსპერტს, მაკა ტუკვაძეს. ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ:

ა) სკოლის დირექციის მიერ წარმოდგენილი 2015-2016 სასწავლო სასწავლო გეგმა არ იყო ერთიანი დოკუმენტი. იგი წარმოადგენდა სხვადასხვა წლებში სკოლაში შექმნილ ან დამტკიცებულ დოკუმენტთა ერთობლიობას. დოკუმენტებში აღწერილი ინფორმაცია კი არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, შინაგანაწესის მე-5 მუხლის თანახმად სასწავლო წლის ხანგრძლივობა და სასწავლო რეჟიმი განისაზღვრებოდა ხუთდღიანი სამუშაო კვირით და ორი დასვენების დღით, ხოლო სხვა დოკუმენტში მოხსენიებული იყო რომ სასწავლო წელი განისაზღვრებოდა ექვსი სამუშაო დღით და ერთი დასვენების დღით, რადგან სკოლაში მიმდინარეობდა საგნების გამლიერებული სწავლება;

ბ) 2015-2016 სასწავლო წელს, სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა I კლასში, IX კლასში, XII კლასში, ხოლო X და XI კლასებისათვის შექმნილი იყო კლას-კომპლექტი;



- გ) ვიზიტის დროს სკოლაში ვერ ვნახეთ გაკვეთილების განრიგი დღეებისა და კლასების მიხედვით საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით;
- დ) სკოლას დანერგილი ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ქართულ ენასა და ლიტერატურა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, გაძლიერებული სწავლება. წარმოდგენილი პროგრამები, ეროვნული სასწავლო გეგმის VII-IIX კლასების საწავლო პროგრამების იდენტური იყო და ძირითადად ეროვნული გამოცდებისა და საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებას ითვალისწინებდა;
- ე) სკოლას ყავდა პედაგოგების მცირე რაოდენობა, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ ერთ ჯგუფში. ინტერვიურებით გაირკვა, რომ კათედრების სხდომები ტარდებოდა ერთდროულად და სკოლას ჰქონდა საგნობრივი კათედრის ერთი სამუშაო ჟურნალი. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა კათედრების და პედაგოგების პორტფოლიოები.
- ვ) სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა შეფასების დებულება, რომელიც მოიცავდა ქულების გამოანგარიშების წესსა და სემესტრული/წლიური შეფასების პრინციპებს. ნიშნების გამოანგარიშება ხდებოდა, როგორც გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმით, იმ განსხვავებით, რომ კლასიდან კლასში გადასაყვანი და საგნის დაძლევის ბარიერი განსაზღვრული იყო ექვსი ქულით.
- ზ) ცენტრში გადმოგზავნილი იყო შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, რომლებიც ვიზიტის დროს წარმოდგენილს კი ემთხვევოდა, მაგრამ ტესტების ყურადღებით დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლის მიერ შესრულებულ ტესტებში გადასწორებული იყო მოსწავლის სახელი და გვარი, აგრეთვე მასწავლებლის ხელმოწერა. შემაჯამებელი წერები არასწორად იყო გაფორმებული ჟურნალშიც. ჟურნალების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ იყო საგნები, რომელშიც მთელი წლის განმავლობაში არ იყო შეტანილი ნიშანი.
- თ) სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.
- ი) სკოლას შემუშავებული და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცეული ჰქონდა ლიცეუმის პედაგოგიური კადრების ატესტაციის დებულება. დებულების თანახმად, ატესტაცია ტარდებოდა ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე მასწავლებლებისათვის კატეგორიების მიზნით ტარდებოდა პრაქტიკული საქმიანობის მონიტორინგი, ხოლო მეორე ეტაპზე მასწავლებლის სამეცნიერო დონის დადგენის მიზნით ტარდებოდა ტესტირება. ამის შემდეგ

ენიჭებოდა პედაგოგს კატეგორია. თუმცა, ლიცეუმმა აღნიშნული ატესტაციის პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.


ვ) მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა მავა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ.თბილისში, გოგებაშვილის ქუჩა N21/55-ში მდებარე კერძო სახლის 1 და 2 სართულზე. შენობის პირველ სართულზე იყო საერთო შესასვლელის მქონე ორი საკლასო ოთახი, თითოეულში იდგა 6 ორადგილიანი მოსწავლის მერხი (სულ 12 მერხი). პირველ სართულზევე მდებარეობდა ბუფეტი, რომელსაც საერთო შესასვლელი ჰქონდა ერთ-ერთ საკლასო ოთახთან და ერთი სველი წერტილი. მეორე სართულზე განთავსებული იყო 3 საკლასო ოთახი, სადაც იდგა 20 ორადგილიანი მოსწავლის მერხი, კომპიუტერული კლასი და ბიბლიოთეკა ერთ ოთახში იყო განთვსებული. შენობაში სულ იყო 5 საკლასო ოთახი, სადაც განთვსებული იყო 32 ორადგილიანი მერხი. კომპიტერულ ოთხში იყო 4 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი.

დაწესებულებას არ ჰქონდა სპორტული მოედანი და დარბაზი. ლიცეუმს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს „ოზისთან“, საცურაო აუზით სკოლის მოსწავლეების სარგებლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად მომსახურეობის გამწევი უზრუნველყოფდა თავისი ან მოწვეული სპეციალისტის მეშვეობით ლიცეუმის მოსწავლეებისათვის ცურვის გაკვეთილების ჩატარებას.

სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა ლაბორატორიისათვის განკუთვნილ ოთახში არა იყო სველი წერტილი და ამწოვი კარადა. დაწესებულებაში არ იყო სპეციალური საჭიროებების მოსწავლისათვის ადაპტირებული სველი წერტილი.

ლიცეუმს ჰქონდა ბიბლიოთეკა, თუმცა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკარის ფუქცია-მოვალეობები არცერთ დოკუმენტში არა იყო გაწერილი. ბიბლიოთეკარის მოვალეობები შეთავსებული ჰქონდა ლიცეუმის დირექტორს.

ღ) ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საშტატო განრიგი. ვერ დადგინდა თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვის შესაბამისობა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვასთან. ხელშეკრულებების მიხედვით სკოლაში იყო 18 თანამშრომელი, მათ შორის 14 პედაგოგი და 4



ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ლიცეუმი არ იყო ჩართული მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ შეაჯამა ავტორიზაციის ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პოზიცია და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ხარვეზები სამივე სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სასკოლო ჟურნალების შევსებაში, პედაგოგთა პორტფოლიოების წარმოებაში, მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვაში, სკოლის მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ დამაზუსტებელი კითხვები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სააპელაციო საბჭოს წევრი ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა თუ იცნობდა დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნულ დასკვნას, რაზეც ავტორიზაციის ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება დასკვნას იცნობდა და ეს ხელმოწერითაც დასტურდებოდა. აღინიშნა, რომ დაწესებულების თხოვნით მოხდა ავტორიზაციის საბჭოზე მათი საკითხის განხილვის გადადება. ნუგზარ სხირტლაძემ დამატებით იკითხა, თუ იცნობდნენ ექსპერტები დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილ ახსნა განმარტებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ დასკვნაში აღწერეს დაწესებულებაში ვიზიტისას არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და ისინი არ ეთანხმებოდა დაწესებულების ახსნა განმარტებაში მოცეულ გარემოებებს.

სააპელაციო საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა, რა იყო გადასწორებული მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტაციაში. ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო ძველი დოკუმენტები, მოსწავლეთა შევსებული შემაჯამებელი ტესტები, რომლებზეც თარიღი და სახელი/ გვარი იყო გადაკეთებული.

სააპელაციო საბჭოს წევრი გრიგოლ ტატიშვილი დაინტერესდა, თუ იყო შესაძლებელი გამჭოლი საკლასო ოთახის ამოქოლვა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს შეუძლებელი იყო. გრიგოლ ტატიშვილმა ასევე იკითხა ადაპტირებული სველ წერტილის აუცილებლობის შესახებ, თუ დაწესებულებას ასეთი მოსწავლე არ ჰყავდა. ექსპერტმა განმარტა, რომ ეს ავტორიზაციის სატანდარტის მოთხოვნა იყო.



საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა კლასკომპლექტის საკითხით, რამდენად იყო შესაძლებელი თბილისის სკოლაში კლასკომპლექტის არსებობა. ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ კლასკომპლექტის არსებობა აკრძალული არ იყო, თუმცა კლასკომპლექტები ძირითადად არსებობდა მაღალმთიან და მცირეკონტინგენტიან სკოლებში.

სააპელაციო საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა, რამდენად სავალდებულო იყო საკლასო ჟურნალების არსებობა. ექსპერტმა განაცხადა, რომ მართალია საკლასო ჟურნალების გამოყენების ვალდებულების შესახებ ჩანაწერი კანონმდებლობაში არ გვხვდებოდა, თუმცა სკოლას უნდა ჰქონოდა სრულყოფილი ინფორმაცია საკლასო ჟურნალებით განსაზღვრული მონაცემების შესახებ.

სააპელაციო საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ მიმართა ექსპერტს, თუ გადიოდა დაწესებულება სასწავლო შედეგებზე. ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ ვინაიდან ვერ ნახეს სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არ იყო მასწავლებელთა პორტფოლიოები, არ იყო სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია, მნელი იყო იმის დადასტურება, რამდენად აღწევდა სკოლა სწავლის შედეგებს.

სააპელაციო საბჭოს წევრი ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა, თუ არსებობდა რაიმე სტატისტიკა სკოლის მიღწევების შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა წარმატებული მოსწავლეები, მედალოსნები.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე აპოლონ სილაგაძე დაინტერესდა დაწესებულების სააპელაციო საჩივარში აღწერილი გარემოებით, სადაც საუბარი იყო, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არ მიეცა აცილების საშუალება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ ასეთი შუამდგომლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არ ყოფილა წარმოდგენილი. თუ დაწესებულებას სურდა საბჭოს რომელიმე წევრის აცილების საკითხის განსახილველად წარდგენა, მათ ქონდათ ამის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება. მისი თქმით საბჭომ იმსჯელელა აღნიშნულ საკითხზე და გადაწყვიტა რომ დაწესებულებას ჰქონდა ისეთი ხარვეზები, რომლებიც არსებითად შეუსაბამო იყო კანონმდებლობასთან. იგივე კლასკომპლექტები ზოგადად

იქმნებოდა განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევაში და დედაქალაქში ამის საჭიროება ნამდვილად არ იდგა. ზოგადად კვლევები მოწმობს, რომ სკოლის მოსწავლეთა შედეგები ნაკლებად იყო კორელაციაში სკოლის წარმატებასთან. საბჭო ყოველთვის ცდილობდა სკოლის პოზიციის გამყარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო.

სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საათობრივი დატვირთვისა და გაკვეთილების განრიგის არ არსებობა უკვე საკმარისი პირობა იყო იმისათვის, რომ ასეთი სკოლა არ არსებულიყო. იგი დაინტერესდა, რატომ ვერ მოხდა საავტორიზაციო ვიზიტის დროს მშობლებთან შეხვედრა? ავტორიზაციის ექსპერტ მაკა ტუკვაძის განმარტებით დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო მშობლებთან შეხვედრის ორგანიზება და ექსპერტები ამას იძულებით ვერ გააკეთებდნენ. მან აღნიშნა, რომ გადასწორებულმა ტესტებმა უბიძგათ ყველაფერი დეტალურად გადაემოწმებინათ.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ სიტყვა გადასცა თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის დამფუძნებელს ინეზა იამანიძეს. ქალბატონმა ინეზა იამანიძემ აღნიშნა, რომ ცენტრში გადმოგზავნილი იყო სასკოლო დოკუმენტაციის სრული პაკეტი. მისი თქმით, ექსპერტებმა სათანადოდ ვერ მოახდინეს ამ დოკუმეტაციის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარება და შესაბამისობის დადგნა. ექსპერტების შენიშვნებზე დაწესებულაბას წარმოდგენილი ქონდა ახსნა-განმარტებები, სადაც დეტალურად იყო პასუხი გაცემული თითოეულ ხარვეზზე.

სააპელაციო საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წამომადგენლებს, ვიზიტის პერიოდში ქონდათ თუ არა გაკვეთილების ცხრილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობდა ცხრილი, რომლიც ყოველდღე იცვლებოდა საჭიროებისდა მიხედვით. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულება ახალი გადასული იყო შენობაში და ამიტომ გაკვეთილების ცხრილი არ ქონდათ გადატანილი. დაწესებულების წარმომადგენელმა გააპროტესტა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი ხარვეზი და აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მათ არ ავალდებულებდა ყოველდღიური შეფასების წარმოებას. კლას-კომპლექტებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ერთი ბავშვი იყო 10 კლასში გადმოსული, რომელსაც ექსტერნით სურდა კლასის დაძლევა, რის შემდეგაც დაჯდებოდა 11 კლასში. ორი



უურნალი რომ არ გვეტარებინა, ამიტომ იყო გაკეთებული კლას-კომპლექტი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელ ტესტში გადასწორების მიზეზი რესურსების დაზოგვა იყო. შემოხაზული ტესტი გადაღებისას არ გადადიოდა და იგი გამოყენებული იყო შემდეგი ტესტირებებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადანაშაულა ავტორიზაციის ექსპერტები, ცენტრი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო არასწორ მიდგომებსა და ხელის შეშლაში.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს ლაკონურად მოეხსენებინა მოსაზრებები, რათა მსჯელობა არ გასცდენოდა სააპელაციო საბჭოს სხდომის ფორმატს.

სააპელაციო საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ წარმოუდგენელი იყო ბავშვმა არ იცოდეს რა გაკვეთილი აქვს. ლაბორატორიაში სადაც არ არის წყალი და ამწოვი შეუძლებელი იყო ქიმიის ცდების ჩატარება. ასევე, საეჭვო იყო სპორტის გაკვეთილების ჩატარება, როცა არ არსებობდა სპორტული დარბაზი.

სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა ავტორიზაციის დასკვნიდან გამომდინარე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ არ არსებობდა დამრიგებლის დოკუმენტაცია სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა ინეზა იამანიძემ განმარტა, რომ თავად იყო ყველა კლასის დამრიგებელი და გეგმები ქონდათ.

სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დასკვნაში აღწერილი მასწავლებელთა განვითარების სქემა კრიტიკას ვერ უძლებდა. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველანაირად ცდილობდა კერძო სკოლების განვითარებას, მოცემულ შემთხვევაში კი სკოლას 22 წლიანი ისტორიის შემდეგ ყავდა 22 მოსწავლე, რაც განვითარებას არ ნიშნავდა. წარმოუდგენელი იყო სკოლის მხოლოდ 5 საკლასო ოთახში არსებობა და ზოგადად 22 მოსწავლით სკოლის შენახვა.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ შეაჯამა დისკუსია და მსჯელობის შემდეგ დასძინა, რომ საბჭომ ვერ მიიღო არგუმენტირებული პასუხი ვერც ერთ კითხვაზე. მისი თქმით დაწესებულება სასურველია კონცენტრირდეს დაწყებით საფეხურზე და სხვა ფორმით გაიაროს პროცედურები.



სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიმის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 2


წინააღმდეგი: - 6

საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭრეს სააპელაციო საბჭოს წევრებმა: გრიგორ ტატიშვილმა, ნინო დობორჯგინიძემ, მარინე ჩიტაშვილმა, ლაშა გოცირიძემ, გელა გელაშვილმა, დავით კახნიაშვილმა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26<sup>2</sup>-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 3.11.2016 N 122 გადაწყვეტილება შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიმის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ.

15:38 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 15:50 საათზე.



## 2. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ სიტყვა გადასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს წევრს, რევაზ აფხაზავას, რათა მას დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რევაზ აფხაზავას განცხადებით ზაგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე საკითხის განხილვის დროს იყო აზრთა სხვადასხვაობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ სკოლა ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს, რადგან იყო გარკვეული ხარვეზები. თუმცა კარგია, რომ სააპელაციო საბჭო კვლავ იმსჯელებს სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ სიტყვა გადასცა ავტორიზაციის ექსპერტს, ავთანდილ აბდუშელიშვილს. ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა სააპელაციო საბჭოს წარუდგინა ის ძირითადი ხარვეზები, რაც ავტორიზაციის ვიზიტის დროს გამოიკვეთა. მან აღნიშნა:

- ა) სკოლაში არსებული ნორმატიული დოკუმენტების თანახმად ირკვეოდა, რომ სკოლას არ ჰქონდა სათათბირო ორგანო პედაგუსტო. სკოლის დებულების თანახმად მხოლოდ სკოლის დირექტორი იყო უფლებამოსილი დაემტკიცებინა სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ბ) სკოლა პირველ უცხო ენად ირჩევდა ფრანგულ ენას და პირველ კლასში ნაცვლად ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ინგლისური ენისა, ასწავლიდა ფრანგულ ენას. ხოლო ინგლისური ენის სწავლებას იწყებდა მეოთხე კლასიდან, როგორც მეორე უცხო ენა. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი



მტკიცებულება, რომ აღნიშნული საკითხი შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის უწყებასთან.

გ) ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებდა საჭიროების შემთხვევაში.

დ) ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა საკლასო ჟურნალები. სკოლას ჰქონდა განსხვავებული შეფასების კრიტერიუმები, რაც არ იყო თავსებადი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდირებულ საკლასო ჟურნალთან. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების უწყისებით ვერ დგინდებოდა, თუ რომელ რიცხვებში ჰქონდათ მიღებული მოსწავლეებს შეფასებები. შეფასების უწყისებში ასევე არ იყო გათვალისწინებული საგნების მიხედვით მოსწავლეთა გაცდენების დაჯამების გრაფა. სემესტრის ბოლოს კლასის დამრიგებელი აჯამებდა მოსწავლეთა გაცდენებს დღეების მიხედვით.

ე) სასკოლო სასწავლო გეგმით დგინდებოდა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლა თითქმის ყველა საგანში ატარებდა სემესტრულ და წლიურ გამოცდას. გამოცდის ნიშანი მოქმედებდა მოსწავლის სემესტრულ და წლიურ შეფასებაზე. აღნიშნული რეგულაცია შეუსაბამობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N118/ნ ბრძანებასთან, რომლის თანახმადაც წლიურ გამოცდებთან დაკავშირებით დაწესდა შეზღუდვა. კერძოდ, სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისათვის დაენიშნა გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამასთან, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა ყოფილიყო ორწლიანი შუალედი მაინც.

ვ) სკოლა ფლობდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არასრულ აღჭურვილობას. ხელსაწყოების ნაწილი სკოლას ჰქონდა შეძენილი, ხოლო ნაწილი საჩუქრად მიღებული. ლაბორატორია განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, ფანჯრებიან საკლასო ოთახში. ოთახში არ იყო სველი წერტილი, თუმცა ლაბორატორიის გვერდით იყო დამზარე სივრცე, რომელშიც მოწყობილი იყო ონვანი.

ზ) სკოლას ადგილობრივი წყლის ჭაბურღილიდან მიეწოდებოდა სასმელი წყალი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ვარგისიანობის ლაბორატორიული დასკვნა.

- თ) სკოლას ჰქონდა საპირფარეშო 3 ინდივიდუალური წერტილით, რომელიც განთავსებული იყო სკოლის ეზოში, შენობიდან 20-30 მეტრის მოშორებით. საპირფარეშოში არ იყო დაცული ჰიგიენის ნორმები, არ იყო წყალი და სსსმ პირებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ინფრასტუქტურა. ადმინისტრაციის განცხადებით სოფელში არ იყო კანალიზაციის სისტემა, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სველი წერტილების შენობაში მოწყობა.
- ი) დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. არ იყო განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.
- კ) სკოლის სამასწავლებლოში განთავსებული იყო პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები. სკოლა არ ფლობდა პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. სკოლის მედდის ფუნქცია შეთავსებული ჰქონდა ფრანგული ენის პედაგოგს, რომელსაც გავლილი ჰქონდა შესაბამისი გადამზადების კურსი.
- ლ) სკოლაში დამონტაჟებული იყო 2 შიდა და 2 გარე ხედვის უსაფრთხოების კამერა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. თუმცა, გარე პერიმეტრის კონტროლისთვის დამონტაჟებული კამერა არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემების პარამეტრების შესაბამის მოთხოვნას.
- მ) სკოლა განთავსებული იყო საბავშვო ბაღის შენობაში და მათი ფართები ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო.
- ნ) სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დაადგენდა ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის.
- ო) ადამიანური რესურსთან დაკავშირებით აღსანიშნავი იყო, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 1 პედაგოგი, რომელსაც არ ჰქონდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, მას დამთავრებული ჰქონდა საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი. ასევე, 2016 წელს სკოლას გამოსაცდელი ვადით გაფორმებული ჰქონდა პირობით ხელშეკრულება 3 პირთან, რომელთაც მოქმედი კანონმდებლობით ამ ეტაპზე მასწავლებლობის უფლება არ ჰქონდათ. აღნიშნული პირები სკოლაში ასწავლიდნენ ქიმიას და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას.


სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მოსწავლეთა მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული პოზიტიური განწყობისა, საბჭომ უნდა იმსჯელოს და მას შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. მან სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს ცისიერ დიღმელაშვილს.

დაწესებულების წარმომადგენლის ცისიერ დიღმელაშვილის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა დაფიქსირებულ შენიშვნებს, სკოლამ მოახდინა რეაგირება თითოეულ ხარვეზზე და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. მისი განმარტებით, წლების განმავლობაში სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ფრანგული ენა და ლიცეუმი თანამშრომლობდა ფრანკოფონის ცენტრთან. მათი მოსწავლეები მონაწილეობდნენ ფრანკოფონის ცენტრის არაერთ კულტურულ-საგანამანათლებლო ღონისძიებაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სკოლა გაძლიერებულ რეჟიმში ასწავლიდა უცხო ენას, თვლიდნენ, რომ მეორე უცხო ენის დამატება ნებისმიერ კლასში იყო შესაძლებელი, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით არ შეიძლებოდა საფეხურიდან რომელიმე საგნის ამოღება და არა კლასიდან. თუმცა აღნიშნული ხარვეზის დაფიქსირების შემდგომ, სკოლამ დაუყოვნებლივ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ნებართვის თაობაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა განათლებისა და მცნიერების სამინისტროდან მიღებული წერილი.

ავტორიზაციის ექსპერტმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილი იყო პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლება, სკოლას დამატებით შეეძლო მეორე უცხო ენის სწავლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში. წერილთან დაკავშირებით კი ავთანდილ აბდუშელიშვილმა აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნულ წერილში სკოლას ფრანგული ენის, როგორც მეორე უცხო ენის სწავლების უფლებას აძლევდა, რაც არანაირად არ გულისხმობდა ინგლისურის ფრანგულით ჩანაცვლების შესაძლებლობას.

სააპელაციო საბჭომ იმსჯელა და გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტის მოსაზრება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა და მოუწოდა სკოლას გაეთვალისწინებინა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.

ცისიერ დიღმელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანა ცვლილებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაინიშნა გამოცდები და გაიწერა




შეფასების სისტემა. მომავალში პირველი კლასიდან დაიწყებენ ინგლისური ენის სწავლებას, სექტემბრისთვის შეიძენენ და ჟურნალის წარმოების წესის შესაბამისად გამოიყენებენ საკლასო ჟურნალებს. სკოლა გაიმიჯნა საბავშვო ბალისგან, შეისყიდეს მოთხოვნების შესაბამისი სამეთვალყურეო კამერა. საპირფარეშოსთან მიიყვანეს წყალი და დაამონტაჟეს ხელსაბანი. პედაგოგებს რაც შეეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვისაც ჰქონდა კვალიფიკაციასთან და სტატუსთან დაკავშირებული პრობლემა, მასთან აღარ გაფორმდებოდა ხელშეკრულებები. სკოლის წარმომადგენელმა განსაკუთრებული სიამაყით წარუდგინა საბჭოს სკოლის მოსწავლეთა მიღწევები, სხვადასხვა სამეცნირო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აპოლონ სილაგაძემ აღნიშნა, რომ როცა სკოლას ჰქონდა ამდენი მიღწევა და ასეთი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა მუშობა, საჭირო იყო ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისა და საზოგადოების აქტიური ჩართვა და სკოლისათვის ხელშეწყობა.

სააპელაციო საბჭოს წევრმა ნინო დობორჯვეგინიძემ აღნიშნა, რომ ილიას უნივერსიტეტის სამეცნიერო პიკნიკზე მართლაც წარმატებით წარსდგნენ აღნიშნული სკოლის ბავშვები, თუმცა ეს არ ამართლებდა სკოლის მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურას.

სააპელაციო საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გაუგებარი სიჯიუტე იყო პედაგოგიური საბჭოს არ არსებობა, ასევე, საევაკუაციო გეგმისა და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გაუმართაობა. საკლასო ჟურნალი თუ არ გვინდოდა, უნდა ყოფილიყო უკეთესი აღრიცხვის სისტემები. დავით კახნიაშვილი დაინტერესდა თუ იყვნენ დარგის სპეციალისტები ის პედაგოგებით, რომელთაც არ ქონდათ მასწავლებლის სტატუსი. დაწესებულების წარმომადგნელმა განმარტა, რომ ერთ პედაგოგს ჰქონდა პოლიტექნიკური განათლება და პედაგოგობის სტაჟი სხვა სკოლაში. დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ რომ თუ პედაგოგი სხვაგან ასწავლიდა და ჰქონდა სამი წლის გამოცდილება, მაშინ ამ სკოლას ეხსნებოდა პასუხისმგებლობა.

სააპელაციო საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, წარმოდგენილი ხარვეზები თუ იყო გამოსწორებადი, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ მის



მიერ დასკვნაში აღწერილი იყო ფაქტორბრივი მდგომარეობა და აღმოჩენილი ხარვეზები გამოსწორებადი იყო.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის აპოლონ სილაგაძის განმარტებით საბჭომ იმსჯელა, პასუხი გაეცა ყველა კითხვას. იყო საკითხები, რაც უკვე მოგვარებული წარმოადგინა დაწესებულებამ, თუმცა იყო საკითხები რომელიც სამომავლოდ მოგვარებადია.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: - 8

წინააღმდეგი: - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26<sup>2</sup>-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
აპოლონ სილაგაძე

მდივანი  
ნინო დობორჯგინიძე